



საქართველოს მთავრობის დადგენილება

N 635 2020 წლის 19 ოქტომბერი ქ. თბილისი

„იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 23/05/2020, 470230000.10.003.022034) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-14 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5 პუნქტი:

„5. COVID-19-ის დიაგნოზის დადასტურებულ შემთხვევებზე ინფორმაცია (წინა საანგარიშგებო დღეს სტატისტიკურად აღრიცხული ახალი შემთხვევების სახელობითი სია ელექტრონული ფორმატით, მათი საკონტაქტო მონაცემების მითითებით) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ ყოველდღიურად მიეწოდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ს (შემდგომში – საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“) (საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“ ასევე მართავს დღის მანძილზე მიღებულ შეტყობინებებს, რომლებიც არ არის შესული ზემოაღნიშნულ ელექტრონულ სიაში), რომელიც პაციენტის საწყისი კლინიკური შეფასების მიზნით, აღნიშნულ ინფორმაციას აწვდის „სეზონური გრიპისა და COVID-19-ის შემთხვევათა იდენტიფიცირებისა და სწორი მართვის/რეფერალის უზრუნველყოფის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 4 აპრილის №01-150/ო ბრძანებით განსაზღვრულ ამბულატორიულ დაწესებულებებს.“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი



გიორგი გახარია